სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ტარიელ ბალაბანიშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	87	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 16.09.2024 г.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„16“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ტარიელ ბალაბანიშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ტარიელ ბალაბანიშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 2 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის **- ტარიელ ბალაბანიშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

<u>1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

კანდიდატი **ტარიელ ბალაბანიშვილი** არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, პასუხისმგებლიანი, კორექტული და მეგობრული. გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და საქმისადმი ერთგულებით. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში **ტარიელ ბალაბანიშვილს** ჩადენილი აქვს ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ტარიელ ბალაბანიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

<u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

ტარიელ ბალაბანიშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 78/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 11.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, **ტარიელ ბალაბანიშვილს** მიუხედავად იმისა, რომ *ადმინისტრაციული სამართლის* განხრით არ ჰქონია პრაქტიკული გამოცდილება, კარგად აქვს შესწავლილი სამართლის ამ დარგის თეორიული საკითხები, სრულყოფილად შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, განზოგადება და განსახილველი საკითხისადმი მისადაგება. სასურველია იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საკითხებზე. *სამოქალაქო სამართალში* კანდიდატს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც გამოვლინდა პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რელაციის მეთოდებით საქმის დამუშავებისა და სამართლებრივი დასკვნების მომზადებისას. შესაფასებელ პირს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. *სისხლის სამართალში* მუშაობისას კანდიდატმა წარმოაჩინა თეორიული ცოდნა, რაც გამოვლენილი იქნა ყოველდღიურ საქმიანობაში განაჩენის პროექტის შედგენისას, ასევე სამართლებრივ კაზუსზე მსჯელობისას და აღნიშნულ საკითხზე

დისკუსიისას. კარგად იცნობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტ განვითარებაზე.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით, შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **ტარიელ ბალაბანიშვილი** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, ასევე საერთაშორისო სამართლის სფეროს, საპროცესო კანონმდებლობას, საქართველოს კონსტიტუციას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ტარიელ ბალაბანიშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოირჩევა სწორი ანალიტიკური აზროვნების უნარით.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ტარიელ ბალაბანიშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ტარიელ ბალაბანიშვილს გააჩნია გამართულად მეტყველების უნარი, ამასთან აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე მსჯელობისას კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული

გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ტარიელ ბალაბანიშვილი** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის პუნქტუალური, გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში კარგად ართმევს თავს სამუშაოს, ასევე არის მიზანდასახული და პროდუქტიული.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ტარიელ ბალაბანიშვილი** უნდა შეფასდეს 13 (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ტარიელ ბალაბანიშვილს გააჩნია სიახლის მიმართ ინტერესი და ღიაობა, აქვს თვითგანვითარების ინტერესი და შესწევს ამის უნარიც.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- 2022 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, საერთო სპეციალიზაციით;
- ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ტარიელ ბალაბანიშვილი** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ტარიელ ბალაბანიშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს ინიციატივის გამოჩენის უნარი, შეუძლია იდეებისა და წინადადებების წამოყენება. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- არასრულწლოვანთა უფლებების სპეციალიზებული კურსი (სამოქალაქო) - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2020 წელი;
- მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2021 წელი;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესი - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2021 წელი;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება - ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი

შედეგები და კეთილსინდისიერი შემძენის უფლება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2021 წელი;

- იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის Case Bank V7 - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2021 წელი;
- ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები ადვოკატებისთვის - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2021 წელი;
- პროფესიული ეთიკა - ჰონორართან დაკავშირებული საკითხები და პრაქტიკული რჩევები - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2022 წელი;
- ონლაინ ტრენინგი - ინტელექტუალური საკუთრება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2022 წელი;
- ონლაინ ტრენინგი - პრობლემური საკითხები სამშენებლო სამართალში - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2022 წელი;
- ონლაინ ტრენინგი - შრომის სამართალი - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2022 წელი;
- ონლაინ ტრენინგი - თანასწორობის უზრუნველყოფა და დისკრიმინაციის აკრძალვა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2022 წელი;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 2023 წელი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ტარიელ ბალაბანიშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ტარიელ ბალაბანიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **87** (ოთხმოცდა შვიდი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი